**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, საერთაშორისო მარინისტული ფესტივალის ფარგლებში, წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების მიზნით კონკურსის ჩატარების წესი**

**კონკურსის მიზანი**

1. ფოთის საზღვაო ხელოვნების რეზიდენციის პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო და ქვეყნის მასშტაბით -კულტურის პროფესიონალები, ხელოვანები ჩამოვლენ ფოთში, ადგილობრივ სახელოვნებო სახელოსნოებში სამუშაოდ, მარინისტულ თემაზე ნამუშევრების შექმნის, შემოქმედებითი გამოცდილების მიღება-გაზიარებისა და ფესტივალში მონაწილეობისთვის. პროგრამის ფარგლებში მათ შესთავაზებენ განთავსებას, მუშაობას ადგილობრივი, მასპინძელი (მიმწვევი) სახელოსნოს, ორგანიზაციის განვითარებაზე და ნამუშევრების შექმნას საზღვაო თემაზე.

**კონკურსის მართვა**

2. გამარჯვებული აპლიკანტისთვის ფინანსური მხარდაჭერა გულისხმობს თითოეული მასპინძელი სახელოსნოსთვის (აპლიკანტისთვის) სახელოსნოს არსებული და განვითარებისთვის შესაბამისი პროფილით მომუშავე, წარმატებული არტისტის - მოწვეული პროფესიონალის ტრანსპორტირების, ბინის, დღიური ხარჯებისა და გამოსაყენებელი მასალის ხარჯების დაფარვის უზრუნველყოფას.
3. ადგილობრივი სახელოვნებო სახელოსნოების მიერ საქართველოს მასშტაბით ხელოვანთა მოწვევის თითოეულ ინიციატივაზე განიხილება დაფინანსება არაუმეტეს 2000 ლარისა (გაწეული ხარჯი-თითოეულ პერსონაზე, არაუმეტეს 1 000 ლარისა), დაფინანსება გადაეცემა მომწვევ სახელოსნოს. მგზავრობისა და ფესტივალზე მობილობის, ასევე დღიური სარგოსა და სახარჯი მასალის თანხები, ანაზღაურდება ხარჯვის დამადასტურებელი წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, დაფინანსდება მომწვევი სახელოსნოს მიერ წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე.
ასევე, დაფინანსდება ინიციატივები, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაციები მოიწვევენ და უმასპინძლებენ ხელოვანებსა და კულტურის პროფესიონალებს საზღვარგარეთიდან, დაფინანსება გადაეცემა მომწვევ სახელოსნოს, დაფინანსება ითვალისწინებს მგზავრობის, ფესტივალზე მობილობისა და დღიური სარგოს თანხების ანაზღაურებას- წარმოდგენილი ინვოისისა და ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე, არაუმეტეს 1 500 ლარისა;
**მასპინძელმა სახელოსნომ უნდა უზრუნველყოს ერთი ან ორი წარმატებული ხელოვანის/არტისტის მოწვევა ქვეყნის მასშტაბით ან ერთი წარმატებული ხელოვანის/არტისტის მოწვევა საზღვარგარეთიდან.**
გასათვალისწინებელია, რომ ორივე შემთხვევაში (საქართველოდან და საზღვარგარეთიდან) მობილობით მოწვეული ხელოვანებისთვის ამ თანხებიდან დაფინანსდეს მათი ფოთში მობილობის პერიოდის დღიური სარგო - არაუმეტეს 150 ლარისა, მაქსიმუმ 3 დღე, ფესტივალის დღეების ჩათვლით.

**კონკურსის ეტაპი**

4. განმცხადებელი ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი არეალი უნდა იყოს ქალაქი ფოთი. ქალაქ ფოთში მოქმედი ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც აქვთ სურვილი უმასპინძლონ სახელოვნებო რეზიდენციებს ან/და დაგეგმონ სხვადასხვა კულტურული აქტივობა,

სავალდებულოა, რომ განმცხადებელი ორგანიზაციის იურიდიული რეგისტრაციიდან გასული იყოს მინიმუმ ერთი წელი და ჰქონდეს ადგილობრივი კულტურის სფეროშ, შემოქმედებით სექტორში, სახელოვნებო მეწარმეობაში ნამუშევრების შექმნის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება.

5. განაცხადი აუცილებლად უნდა მოიცავდეს თანაშექმნისა და მობილობის კომპონენტს, ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროცესში საზოგადოების ჩართულობა.
განმცხადებელი პასუხისმგებელია, რომ განაცხადში წარმოდგენილი ინიციატივა/აქტივობა თავად განახორციელოს.
კონკურსის გამარჯვებული გამოვლინდება დადგენილი კრიტერიუმებით შეფასების შედეგად მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული გამოთვლის პრინციპით 50% ზევით ქულის დაგროვების შემთხვევაში.

6. საკონკურსო კომისიას აქვს უფლება, კონკურსის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის ნაშთის დარჩენის შემთვევაში, გამარჯვებული აპლიკანტს მოსთხოვოს ბიუჯეტის ხელახალი დაზუსტება და მიიღოს გადაწყვეტილება დაფინანსების თანხის გაზრდის შესახებ წარმოდგენილი ხარჯის შესაბამისად.
გამარჯვებულ აპლიკანტთან დაიდება ხელშეკრულება რომლითაც განისაზღვრება დამატებითი პირობები.

7. წარდგენილი განაცხადების შეფასებისა და შერჩევის კრიტერიუმებია:
– შემოთავაზებული აქტივობის კონცეფციის შესაბამისობა ,,მარინისტული ფესტივალის“ ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის მიზანთან. 10 ქულა;
– შემოთავაზებული აქტივობის მარინისტულ ხელოვნებასთან შესაბამისობა, თემის (ან თემების) აქტუალურობა, ეკომეგობრულობა და ინოვაციურობა. 10 ქულა;
საგანმანათლებლო კომპონენტი – პროდუქციის შექმნასთან ერთად სასწავლო კომპონენტის (მინიმუმ 8 პერსონაზე, ასაკისა და გენდერის შეუზღუდავად) წარმოჩენა; 10 ქულა;
– აქტივობის მოსალოდნელი თვალსაჩინო შედეგის ფესტივალზე წარდგენის ფორმატი-თანაშექმნის პროდუქტის პრეზენტაცია. 10 ქულა;
– ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა; 10 ქულა;

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მერიაში წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია**

8. დაინტერესებული ორგანიზაციის განაცხადისთვის სავალდებულოა:

–ორგანიზაციის იურიდიული ფორმის დამადასტურებელი დოკუმენტი - 2024 წლის თარიღით განახლებული ამონაწერი რეესტრიდან;
– წარმოდგენილი აქტივობის/ინიციატივის კონცეპტუალური ნაწილი;
– აქტივობის გეგმა;
– აქტივობის მოსალოდნელი თვალსაჩინო შედეგების აღწერა;
– დანართები: პორტფოლიო, განხორციელებული აქტივობების დოკუმენტაცია
და ა.შ.
– ორგანიზაციიდან აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის
მითითება;

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას დამატებითი დოკუმენტაცია.

კონკურსს აცხადებს და შესაბამის პროცედურებს ახორციელებს მერის ბრძანებით შექმნილი კომისია. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა ხდება  კომისიის გადაწყვეტილებით, აღნიშნული კომისიის პირობების შესაბამისად.